



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

21-22 დეკემბერი, 2020

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

26 თებერვალი, 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამართლის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია 09/08/2012, 312 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული
--	--

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	პროფესორი, სს საქართველოს ენერგეტიკის ფონდის დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში,
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზვიად როგავა, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლიპარტია, სამართლის დოქტორი, სს არდი დაზღვევა იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის, შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „უსდ“) სამართლის სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტს მოიცავს. იგი შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან. უნივერსიტეტი სამართლის სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს 2012 წლიდან, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 90 კრედიტს და წარმოდგენილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს (48 კრედიტი), იურიდიულ პრაქტიკის (18 კრედიტი) და კერძო სამართლის მოდულის, სისხლის სამართლის მოდულის ან საჯარო სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებისგან (24 კრედიტი).

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 21-22 დეკემბერს ინტერვიუების პროცესი მიმდინარეობდა დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.

21 დეკემბერს პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.

ვიზიტის მომდევნო პანელი დაეთმო შეხვედრას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ;იმავე დღეს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ონლაინ რეჟიმში. ასევე გაიმართა შეხვედრა პროგრამის დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან.

სხვა ყველა შეხვედრა გაიმართა 22 დეკემბერს პროგრამის ხელმძღვანელთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დამოუკიდებელ პანელებში. პროგრამის სტუდენტებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

ვიზიტის ბოლოს 22 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართალს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შემოწმებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და მოქმედი წესის მიხედვით პროგრამა, მისი კომპონენტები და განხორციელების პროცედურები შეფასებული იქნა შემდეგნაირად:

#	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტთან

რეკომენდაციები

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რეკომენდაციები:

1.2. სტანდარტთან მიმართებაში

- რეკომენდირებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსის ქულა. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უნდა აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე ფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.

2.1. სტანდარტთან მიმართებაში

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების გამჭვირვალობის მიზნით, რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ფორმა, შინაარსი და პროცედურა ანუ ის მოთხოვნები და კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შეარჩევს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირს.

2.4. სტანდარტთან მიმართებაში

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების აქტივობის მაჩვენებელი სამეცნიერო-კვლევით პროექტებში დაბალია. რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება.

3.2. სტანდარტთან მიმართებაში

რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომები რეალურად იყოს ორიენტირებული სამეცნიერო სიახლეზე, არსებული ცოდნის გაფართოებასა და ახალი ცოდნის შექმნაზე, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზზე, სინთეზისა და შეფასებაზე. განსაკუთრებით უნდა გამკაცრდეს დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია სპეციალური პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება ხდება.

4.2 სტანდარტთან მიმართებაში

გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

5.2. სტანდარტთან მიმართებაში

- რეკომენდირებულია, რომ აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რჩევები:

1.1. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს;
- საერთაშორისო ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესატყვისი ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების

მიზნით, სასურველი იქნებოდა უსდ-ს, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შემუშავებისას შეესწავლა და გაეანალიზებინა უცხოური გამოცდილება, მათ შორის, პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები.

1.2. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას უსდ-მ გაითვალისწინოს მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკაც, ასევე მსგავსი პროგრამების და/ან დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგები.
- სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

2.1. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია უსდ-მ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დააზუსტოს B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატები და ქულები.
- სასურველია, პროგრამას თან ახლდეს პროგრამაზე მიღების დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნება დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობებისა და შეფასების სისტემის შესახებ. მიღების დოკუმენტში დეტალურად უნდა აღიწეროს პროგრამაზე მიღების წინაპირობები, მიღების პროცედურები და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე აპლიკანტთა შეფასების სისტემა (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები).

2.2. სტანდარტთან მიმართებაში

- საგანმანათლებლო პროგრამის კერძო და სისხლის სამართლის მოდულები სტუდენტს სთავაზობს 9 სასწავლო კურსიდან (54 კრედიტიდან) მაქსიმუმ 4 სასწავლო კურსის (24 კრედიტის) არჩევის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც საჯარო სამართლის მოდული სტუდენტს სთავაზობს 7 სასწავლო კურსიდან (42 კრედიტიდან) მაქსიმუმ 4 სასწავლო კურსის (24 კრედიტის) არჩევის შესაძლებლობას. სასურველია, კერძო სამართლის, სისხლის სამართლის და საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი იქნეს თანაბარი მოცულობით.

2.3. სტანდარტთან მიმართებაში

- საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზმის მიზნით, სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსის „პროფესიული ინგლისური ენა (B2+)“-ის ნაცვლად სტუდენტებს ინგლისურ ენაზე შეეთავაზოთ სპეციალობისათვის რელევანტური სასწავლო კურსი.

2.4. სტანდარტთან მიმართებაში

- პრაქტიკული კომპონენტი, იმიტირებულ სასამართლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის სახით, ჩაშენებულია მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსში - „სამოსამართლო ეთიკა“ და სისხლის სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსში - „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი“.

სასურველია, პრაქტიკული კომპონენტი ჩაშენდეს კერძო სამართლის მოდულის და საჯარო სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებშიც;

- იმისათვის, რომ იურიდიული პრაქტიკის პროცესი იყოს ცხადი და თანმიმდევრულად აღქმადია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე იურიდიული პრაქტიკის ადგილზე მენტორებისათვის, სასურველია იურიდიული პრაქტიკის სილაბუსი ან თანდართული დოკუმენტები ითვალისწინებდეს ასევე იურიდიული პრაქტიკის გეგმას, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას და სხვ.
- პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) უსდ-ის თანამშრომლობის პირობები განსაზღვრულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით და ხელშეკრულებებით. მათი უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს მიმღებ დაწესებულებაში მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, თუმცა არ ითვალისწინებს იურიდიული პრაქტიკის მიზანსა და პრაქტიკის ხანგრძლივობას. სასურველია, უსდ-მ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) გაფორმებულ მემორანდუმში და ხელშეკრულებებში დეტალურად აღწეროს ასევე იურიდიული პრაქტიკის მიზანი და პრაქტიკის ხანგრძლივობა;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულების თანახმად, ერთსა და იმავე სემესტრში ერთი პირი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი. სასურველია განისაზღვროს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია უხელმძღვანელოს არა უმეტეს 5 სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

2.5. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია უსდ-მ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერიტი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

2.6. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდეს დაესწროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვასა და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, სასურველია, შედიოდნენ როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე - გარე ექსპერტებიც.

3.1. სტანდარტთან მიმართებაში

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, სასურველია უსდ-მ არჩევითი საგნების კომპონენტად სტუდენტს შესთავაზოს უცხოენოვანი (ინგლისურ ენაზე) პროფესიული არჩევითი სასწავლო კურსი, კარგი იქნება, ამ მიმართულებით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად დაინტერესებს/წახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს არჩევითი საგნების ნაწილში უცხოენოვანი საგანი გაააქტიურონ. ამ სტრატეგიის განვითარებით სამართლის პროგრამის მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობისთვის, პარტნიორ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იყოს გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება; სტუდენტს, სწავლის პროცესში, ასევე

კვლევითი საქმიანობის დროს, ჰქონდეს შესაძლებლობა შეუფერხებლად გაეცნოს და გამოიყენოს უცხოენოვანი ლიტერატურა დედანში.

4.1 სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია უკეთესად იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამის განმახორციელებელი პირების, დამსაქმებლების, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში;
- სასურველია აფილირებული პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები იყოს განსხვავებული ანაზღაურების პირობების შესაბამისად.

4.3 სტანდარტთან მიმართებაში

სასურველია უსდ-ს მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით;

5.2 სტანდარტთან მიმართებაში - სამაგისტრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამა ფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

5.3 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შემუშავებულია შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის, ასევე, სამართლის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასახულია, თუ რა ცოდნის მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაგისტრანტს შესძინოს კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნა, უპირატესად, შედარებითსამართლებრივი და/ან ემპირიული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი. კერძოდ, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაგისტრანტს გამოუმუშავოს/სრულყოს ცვალებად, არაპროგნოზირებად გარემოში პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევები.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია აღჭურვოს მაგისტრანტი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვისათვის საჭირო ცოდნით, უნარებით და პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით სამართლის სფეროს განვითარებაში საკუთარი წვლილის შესატანად.

ამრიგად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, პროგრამის შინაარსის, გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგიისა და არსებული აკადემიური რესურსების გათვალისწინებით, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია, მიღწევადია და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების, მათ შორის, დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამის მიზნების აღწერისას გათვალისწინებულია, როგორც პროგრამაში ჩართული პირებისა და დამსაქმებელი ორგანიზაციების რეკომენდაციები, ასევე ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები აღნიშნული დასტურდება სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ხარისხის მიმართ დამოკიდებულებების და დამსაქმებლის მოთხოვნების შესწავლის თვისებრივი კვლევის ანგარიშით.

საერთაშორისო ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესატყვისი ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე მეორე საფეხურის დონის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით, სასურველი იქნებოდა უსდ-ს, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შემუშავებისას შეესწავლა და გაეანალიზებინა საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებიც.

საგანმანათლებლო პროგრამა და საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ხარისხის მიმართ დამოკიდებულებების და დამსაქმებლის მოთხოვნების შესწავლა - თვისებრივი კვლევის ანგარიში);
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (არსებობის შემთხვევაში);
- უსდ-ის ვებგვერდი <https://sdasu.edu.ge>;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს;
- საერთაშორისო ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესატყვისი ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით, სასურველი იქნებოდა უსდ-ს, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შემუშავებისას შეესწავლა და გაეანალიზებინა უცხოური გამოცდილებაც, მათ შორის, პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (სამართლის მაგისტრი) და სწავლების სამაგისტრო საფეხურს. პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა ასევე კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ ცოდნას, რომლებიც სამართლის მაგისტრს უნდა გააჩნდეს სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი სიღრმისეულად აღწერს:

- კერძო, სისხლის და/ან საჯარო მიმართულებით, ქართული და მისი უცხოური სამართლის ანალოგ(ებ)ის (კონტინენტურ-ევროპული, საერთო სამართლის და/ან სხვა რელევანტური სამართლებრივი სისტემის) მიღწევებსა და თავისებურებებს, რაც სამართლის აქტუალური, კომპლექსური პრობლემების გააზრებისა და მათი გადაწყვეტისათვის ახლებური ხედვის ჩამოყალიბების მიზანს ემსახურება; შედარებითი სამართლმცოდნეობის მეთოდოლოგიას და მის თავისებურებებს;
- ევროპული სამართლებრივი სივრცის, კერძოდ, ევროპული კავშირის ჰარმონიზებული, უნიფიცირებული და/ან „რბილი“ სამართლის ისევე, როგორც პრეცედენტული სამართლის თანამედროვე ტენდენციებს;

- საჯარო და სამოსამართლო ეთიკის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს და მათ ვარიაციას ქართულ სამართალში;
- უპირატესად, არჩეული კონცენტრაციის ფარგლებსა და შედარებითსამართლებრივ კონტექსტში მართლმსაჯულების განხორციელების ეროვნულ და საერთაშორისო მოდელებს და მათი ფუნქციონირების თავისებურებებს, გამოყენების პრაქტიკას, მათ ეფექტს, ზოგადად, სამართლის განვითარებაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ **უნარებს**, რომლებიც სამართლის მაგისტრს უნდა გააჩნდეს სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ინდენტიფიცირებას უკეთებს ეროვნული სამართლის აქტუალურ პრობლემებსა და ნორმატიულ ხარვეზებს, იძიებს სამართლებრივ მონაცემებს და მომიჯნავე სამეცნიერო ან სხვა ემპირიულ მასალას, ახორციელებს მათ კომპლექსურ ანალიზს, კვალიფიკაციისა და სამართლის ნორმების პროფესიულ დონეზე ინტერპრეტაციისა და სამეცნიერო, უპირატესად შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის, დოქტრინისა და პრეცედენტების კვლივით, გამოაქვს ადეკვატური, დასაბუთებული დასკვნები, აზრის გადმოცემის თანამედროვე აკადემიური სტანდარტების დაცვით; იცავს მიღწეულ შედეგებს როგორც პრაქტიკული არასტანდარტული და კომპლექსური პრობლემის მოგვარებისათვის წარმართულ პროცესში, ისე სამეცნიერო კვლევის მიღწევათა დემონსტრირებისას.

პროფესიული ეთიკის დაცვით ახორციელებს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებებს სტრატეგიულად და ტაქტიკურად წინასწარგათვლილი და გააზრებული გზით, რისთვისაც, ყველა რელევანტური ინტერესის მხედველობაში მიღებით, ამყარებს კომუნიკაციას (ზეპირად და წერილობით ქართულ და ინგლისურ ენებზე) პროფესიულ საზოგადოებასთან, დაინტერესებულ მხარეებთან თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

პროგრამის სწავლის შედეგები ასევე ასახავს იმ **პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას**, რომლებიც სამართლის მაგისტრს უნდა გააჩნდეს სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- განხორციელებული სამეცნიერო კვლევის მეშვეობით, ზეგავლენას ახდენს სამეცნიერო აზრის განვითარებასა და პრაქტიკის ტენდენციებზე, ასევე სამართლის ღირებულებათა სისტემისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების გააზრებასა და გადაფასების პროცესზე; მათ შორის, სამოსამართლო ეთიკისა და მოსამართლის ღირებულებით ასპექტებსა, დემოკრატიის პირობებში ბალანსირებისა და პროპორციულობის დაცვასა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის სხვა ნიშნებზე;
- ავლენს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობით, თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის მონაცემთა ბაზებისა და რელევანტური სამეცნიერო თუ სხვა წყაროების გამოყენებით, ინდივიდუალური და საერთო გუნდური გადაწყვეტილებების მისაღწევად საკუთარი და სხვისი პროფესიული განვითარების პოტენციალს.

პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის ცოდნა, ძირითადი უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი.

პროგრამის სწავლის შედეგები მთლიანობაში მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია (რაც მათ შეფასებას გულისხმობს). პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა 126 სტუდენტმა. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 78.8 პროცენტია, მათ შორის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად 52.3 პროცენტს შეადგენს.

კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი 5.5 პროცენტია. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კურსდამთავრებულები არ არიან გასული სასერთიფიკატო გამოცდებზე.

დარგის სპეციფიკის და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით, სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, სამართლის სფეროს დამსაქმებლები.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სწავლის შედეგების შედგენისას უსდ-ის მიერ გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზით უსდ-ის მიერ დადგენილია სამართლის დარგის საჭიროებები, ასევე რა ცოდნისა და უნარების კურსდამთავრებულები სჭირდებათ დამსაქმებლებს. ანალიზის შედეგების შესაბამისი ცოდნა და უნარები უსდ-ის მერ ასახულია სწავლის შედეგებში.

სასურველი იქნებოდა სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას უსდ-ს გაეთვალისწინებინა მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკაც, ასევე მსგავსი პროგრამების და/ან დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, მათი ფორმულირებისას უსდ ხელმძღვანელობს შემდეგი ფორმულით: სამართლის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი + მოქმედების გამომხატველი ზმნა + რა ეცოდინება, რა უნარები ექნება, რა ემოციური ცვლილება მოხდება მასში.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის გააჩნია 8 სწავლის შედეგი. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გარკვეულწილად გამოყენებულია ბლუმის განახლებული ტაქსონომია, რომელიც მოიცავს ცოდნისა და ინტელექტუალური უნარების ექვს პროგრესულ დონეს. თითოეული დონისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ზმნები. აღნიშნული ზმნების გამოყენებით მარტივდება სწავლის შედეგების შეფასება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით, უსდ-ის მიერ შედგენილია კურიკულუმის რუკა, რომელიც ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკაში მითითებულია ისიც თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს: 1 - გაცნობა, 2 - გაღრმავება და 3 - განმტკიცება.

უსდ-ის მიერ შემუშავებულია „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომლის თანახმად, სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა განისაზღვრება პროგრამის ხანგრძლივობით. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება იმ სასწავლო კურსებში/კომპონენტებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. სამართლის სამაგისტრო პროგრამაში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება იურიდიული პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის თანახმად, სწავლის შედეგის შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს სწავლის შედეგს. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის თანახმად, პროგრამასთან მიმართებით უნდა ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც ნაჩვენებია იქნება პროგრამის დასასრულს რომელი სასწავლო კურსით/კომპონენტით, რომელი დავალებით და ვის მიერ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები, უსდ-ის მიერ წარმოდგენილ სააკრედიტაციო მასალებში სწავლის შედეგების შეფასების გეგმა არ იძებნება.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის პროგრამის რვავე სწავლის შედეგში სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 71-დან 80 ქულამდე შეფასება სტუდენტების 70% პროცენტში. აღნიშნული დოკუმენტით არ დგინდება ის კონკრეტული დავალება, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს (ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, იმიტირებული პროცესი, პრაქტიკული დავალება, იურიდიული

პრაქტიკისას ზედამხედველის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ.). აღნიშნული დოკუმენტით არ არის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობაც.

რჩება შთაბეჭდილება, რომ სასწავლო კურსში/კომპონენტში მიღებული საბოლოო ქულა და არა იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს, გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რაც არასწორი მიდგომაა, ვინაიდან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნასაც.

რეკომენდირებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსის ქულა. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უნდა აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე ფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.

უსდ-ის მიერ პროგრამის სწავლის შედეგები პირდაპირი მეთოდების გარდა, ასევე ფასდება არაპირდაპირი მეთოდებითაც. არაპირდაპირი შეფასებისას შემფასებელი (სტუდენტი, დამსაქმებელი და სხვა) პროგრამის სწავლის შედეგს აფასებს სპეციალური კითხვარის საშუალებით.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას. ამასთან, დადგინდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტ-ნაკლებად იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ხარისხის მიმართ დამოკიდებულებების და დამსაქმებლის მოთხოვნების შესწავლა - თვისებრივი კვლევის ანგარიში);
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ოქმები, სტუდენტების, კურდამთავრებულების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვები);
- კურსდამთავრებულთა დასაქმების, ასევე უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი, სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები;
- უსდ-ის მიერ შემუშავებული „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- სამიზნე ნიშნულები;
- კურიკულუმის რუკა;
- უსდ-ის ვებგვერდი <https://sdasu.edu.ge>;

<ul style="list-style-type: none"> ▪ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდირებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსის ქულა. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უნდა აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე ფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სასურველია სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას უსდ-მ გაითვალისწინოს მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკაც, ასევე მსგავსი პროგრამების და/ან დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგები. ▪ სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, მეტ-ნალკებად გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას გათვალისწინებულია სამაგისტრო საფეხურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკა.</p> <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2 დონე) შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.</p> <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების თანახმად, ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელ შესაბამის სერტიფიკატს. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობის მიზნით, სასურველია უსდ-მ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დააზუსტოს B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატები და ქულები.</p> <p>შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო ეტაპზე უსდ-მ ავტონომიურად უნდა განსაზღვროს ასევე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ფორმა, შინაარსი და პროცედურა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების გამჭვირვალობის მიზნით, რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ფორმა, შინაარსი და პროცედურა ანუ ის მოთხოვნები და კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შეარჩევს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირს.</p>

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა (სამართლის ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი) პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები აღწერილია ასევე საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, ასევე მის შინაარსობრივ მხარეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2019/06/25/ca854ed89ad02052ad2a7865ad29231b.pdf>
- პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია უსდ-ის ვებგვერდის მეშვეობით <https://sdasu.edu.ge>;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების გამჭვირვალობის მიზნით, რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ფორმა, შინაარსი და პროცედურა ანუ ის მოთხოვნები და კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შეარჩევს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უსდ-მ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დააზუსტოს B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატები და ქულები;
- სასურველია, პროგრამას თან ახლდეს პროგრამაზე მიღების დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნება დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობებისა და შეფასების სისტემის შესახებ. მიღების დოკუმენტში დეტალურად უნდა აღიწეროს პროგრამაზე მიღების წინაპირობები, მიღების პროცედურები და შიდასაუნივერსიტეტო

<p>გამოცდაზე აპლიკანტთა შეფასების სისტემა (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები).</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების პროცესებსა და პროცედურებს.</p> <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის მიზანს, პროგრამის სწავლის შედეგებს, სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკას, საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობას, პროგრამის სტრუქტურას, სწავლება - სწავლის მეთოდებს, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას, კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროსა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, ასევე პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფას.</p>

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელი ანუ 4 სემესტრია.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება), იურიდიულ პრაქტიკას და სამაგისტრო ნაშრომს (მომზადება და დაცვა).

პროგრამაში შემავალი კომპონენტების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების მოცულობა წარმოდგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, რომლის მიხედვით 1 კრედიტი 25 საათის ტოლია. სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, თუ პრაქტიკული დავალებების ადეკვატურია. სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკა გათვალისწინებულია ასევე საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრისას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 90 კრედიტს და წარმოდგენილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს (48 კრედიტი), იურიდიულ პრაქტიკის (18 კრედიტი) და კერძო სამართლის მოდულის, სისხლის სამართლის მოდულის ან საჯარო სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებისაგან (24 კრედიტი).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებია:

- პროფესიული ინგლისური ენა (B2+) - (6 ECTS);
- აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები - (6 ECTS);
- შედარებითი კერძო სამართალი - (6 ECTS);
- შედარებითი კონსტიტუციონალიზმი - (6 ECTS);
- შედარებითი სისხლის სამართალი - (6 ECTS);
- სამოსამართლო სამართალი - (6 ECTS);
- სამოსამართლო ეთიკა - (6 ECTS);
- ასოცირების შესახებ შეთანხმება და ევროკავშირის ნორმებთან დაახლოება - (6 ECTS).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებია:

- შედარებითი საკორპორაციო სამართალი - (6 ECTS);
- კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების სამართალი და სასამართლო პრაქტიკა - (6 ECTS);
- შრომითი დავები პრაქტიკაში - (6 ECTS);
- შედარებითი სანივთო სამართალი - (6 ECTS);
- სამოქალაქო საპროცესო ნორმათა გამოყენების პრობლემები სასამართლო პრაქტიკაში
- შედარებითი კონკურენციის სამართალი - (6 ECTS);
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი - (6 ECTS);

- მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები დაზღვევის სამართალში - (6 ECTS);
- მტკიცებითი სამართლის პრაქტიკული ასპექტები - (6 ECTS).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებია:

- ევროპული სისხლის სამართალი - (6 ECTS);
- ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში - (6 ECTS);
- ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები - (6 ECTS);
- სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა, განრიდება და მედიაცია - (6 ECTS);
- კორუფციულ დანაშაულთა გამოძიება და სასამართლო განხილვის პრობლემური საკითხები - (6 ECTS);
- შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი - (6 ECTS);
- სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმათა სასამართლო განმარტებების პრობლემები და მათი გამოყენების პრაქტიკა - (6 ECTS);
- დანაშაულის ნიშნების დადგენის პრობლემურობა, მტკიცებულებების მტკიცებითი ძალა და განაჩენის დადგენის სტანდარტი - (6 ECTS);
- სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემები და ნოვაციები - (6 ECTS).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებია:

- ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები და მისი გავლენა ევროპული სამართლის სისტემაზე - (6 ECTS);
- თანამედროვე ადმინისტრაციული სამართალი და სასამართლო პრაქტიკა - (6 ECTS);
- შედარებითი საპარლამენტო სამართალი - (6 ECTS);
- ლობიზმის რეგულირების თანამედროვე ასპექტები - (6 ECTS);
- საერთაშორისო საზღვაო სამართალი - (6 ECTS);
- საერთაშორისო საბაჟო სამართალი - (6 ECTS);
- გერმანიისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები - (6 ECTS).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით, პროგრამის კერძო სამართლის, საჯარო სამართლის ან სისხლის სამართლის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე გაიღრმავოს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნა.

სტუდენტი უფლებამოსილია, არჩევითი სასწავლო კომპონენტის (24 კრედიტი) ფარგლებში, აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ი უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან და მოიპოვოს არა უმეტეს 6 კრედიტისა. დარჩენილი 18 კრედიტი კი მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს კერძო სამართლის, საჯარო სამართლის ან სისხლის სამართლის მიმართულებით შეთავაზებული მოდულებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ კერძო და სისხლის სამართლის მოდულები სტუდენტს სთავაზობს 9 სასწავლო კურსიდან მაქსიმუმ 4 სასწავლო კურსის არჩევის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც საჯარო სამართლის მოდული სტუდენტს სთავაზობს 7 სასწავლო კურსიდან მაქსიმუმ 4 სასწავლო კურსის არჩევის შესაძლებლობას. სასურველია, კერძო სამართლის, სისხლის სამართლის და საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი იქნეს თანაბარი მოცულობით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას (30 ECTS). სტუდენტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომი შეარჩიოს მისთვის სასურველი მიმართულების ფარგლებში, რისთვისაც მას კერძო სამართლის, საჯარო სამართლის ან სისხლის სამართლის მიმართულებით ათვისებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 18 კრედიტი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და სტრუქტურულად კონსტრუირებული. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. პროგრამაში შემავალ თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული ადეკვატური წინაპირობებით.

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი, რომელი კურსი სწავლის რომელ შედეგზე გადის.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სისხლის სამართლის მაგისტრი) შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, რაც ასევე დასტურდება შესაბამისი კითხვარებით, ოქმებით, მიმოწერით და სხვა დოკუმენტებით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევისას გამოკითხულთა 78.6 პროცენტის აზრით საგანმანათლებლო პროგრამა თავისი კომპონენტებით უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის მიღებას, პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას.

უსდ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. ამისათვის გამოყენებულია უნივერსიტეტის ვებგვერდი. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ ინფორმაციის გასავრცელებლად ასევე ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო თუ საორიენტაციო შეხვედრები როგორც აბიტურიენტებთან, ასევე ახლადჩარიცხულ სტუდენტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- უსდ-ის ვებგვერდი <https://sdasu.edu.ge>;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები (შესაბამისი კითხვარები, ოქმები, მიმოწერ და სხვა დოკუმენტები);
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის კერძო და სისხლის სამართლის მოდულები სტუდენტს სთავაზობს 9 სასწავლო კურსიდან (54 კრედიტიდიდან) მაქსიმუმ 4 სასწავლო კურსის (24 კრედიტის) არჩევის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც საჯარო სამართლის მოდული სტუდენტს სთავაზობს 7 სასწავლო კურსიდან (42 კრედიტიდიდან) მაქსიმუმ 4 სასწავლო კურსის (24 კრედიტის) არჩევის შესაძლებლობას. სასურველია, კერძო სამართლის, სისხლის სამართლის და საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოადგენილი იქნეს თანაბარი მოცულობით.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვან ნაწილს სასწავლო კურსები წარმოადგენენ.</p> <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს.</p>

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებზე დაყრდნობით იდენტიფიცირებულია ის სასწავლო კურსები, რომელთა სწავლის შედეგების ერთობლიობა ფარავს პროგრამის სწავლის შედეგებს.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების ერთობლიობა მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის დასრულებისას.

სასწავლო კურსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დასადგენად გამოყენებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელზეც დეტალურადაა აღწერილი პროგრამის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა ამა თუ იმ კურსით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს, ასევე სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ კომპეტენციებს.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებში, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ითვალისწინებს როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო საათებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების მოცულობა ასევე ითვალისწინებს კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობასა და სირთულეს. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა სწავლის შედეგი ფასდება. სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად კურსის სილაბუსში განსაზღვრულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი შეფასების რუბრიკაში. სასწავლო კურსის სილაბუსები შედგენილია უნივერსიტეტში არსებული ზოგადი ინსტრუქციებისა და რეგულაციების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზმის მიზნით, სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსის „პროფესიული ინგლისური ენა (B2+)“-ის ნაცვლად სტუდენტებს ინგლისურ ენაზე შეეთავაზოთ სპეციალობისათვის რელევანტური სასწავლო კურსი.

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა: ნორმატიული აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები, ავთენტური წყაროები, სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, ელექტრონულ რესურსები და სხვ. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეფუძნება სამართლის სფეროს აქტუალურ მიღწევებს, სამართლის დარგობრივ მახასიათებელს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების შეფასების მიზნით უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები, რომელიც მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების პროცესში გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსი განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი მითითებულია სასწავლო კურსის სახელწოდება, სასწავლო კურსის განმახორციელებლები, სასწავლო კურსის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა რესურსები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო კურსის სილაბუსები, რომლებიც ითვალისწინებენ სწავლის შედეგების შეფასების სისტემას; ▪ კურიკულუმის რუკა; ▪ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა http://emis.sdasu.edu.ge/index.php ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზმის მიზნით, სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსის „პროფესიული ინგლისური ენა (B2+)“-ის ნაცვლად სტუდენტებს ინგლისურ ენაზე შეეთავაზოთ სპეციალობისათვის რელევანტური სასწავლო კურსი.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამოუმუშავებას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია იურიდიული პრაქტიკის სახით (18 ECTS), სადაც სტუდენტი ახდენს თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების შეჯამებას. პრაქტიკული კომპონენტი, იმიტირებულ სასამართლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის სახით, ასევე ჩაშენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსში - „სამოსამართლო ეთიკა“ და სისხლის სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსში - „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი“. სასურველია, პრაქტიკული კომპონენტი ჩაშენდეს კერძო სამართლის მოდულის და საჯარო სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებშიც.

იურიდიული პრაქტიკა სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია (18 კრედიტი). ამასთან, სპეციალობით დასაქმებულმა სტუდენტმა (იმ შემთხვევაში, თუკი მისი საქმიანობა ემთხვევა შერჩეული სამართლის მიმართულებას) პრაქტიკის ნაცვლად 18 კრედიტი უნდა დააგროვოს კერძო სამართლის მოდულის, საჯარო სამართლის მოდულის ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

იურიდიული პრაქტიკის სილაბუსი დეტალურად აღწერს კომპონენტის მიზანს, სწავლის შედეგებს, პრაქტიკული კომპონენტის ფორმატს, პრაქტიკის ორგანიზებისა და პრაქტიკის განხორციელების საკითხებს, პრაქტიკული სწავლების შედეგების შეფასების სისტემას. იმისათვის, რომ იურიდიული პრაქტიკის პროცესი იყოს ცხადი და თანმიმდევრულად აღქმადია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე იურიდიული პრაქტიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელებისთვის, სასურველია იურიდიული პრაქტიკის სილაბუსი ან თანდართული დოკუმენტები ითვალისწინებდეს ასევე იურიდიული პრაქტიკის გეგმას, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას და სხვ.

პრაქტიკული კომპონენტის მიზანია სტუდენტს:

- გაულრმავოს პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლება კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის მიმართულებით;
- გამოუმუშავოს კონკრეტული პრაქტიკული შემთხვევის სამართლებრივი ანალიზის უნარი;
- გამოუმუშავოს საკითხის გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების გამოყენების უნარი;
- მისცეს რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის გამოცდილება;
- გამოუმუშავოს საკითხის გადაწყვეტისას არგუმენტირებული მსჯელობისა და დასაბუთებული დასკვნის გამოტანის უნარი;

- გამოუმუშავოს კომუნიკაციის, მოლაპარაკებების წარმართვისა და სამართლებრივი საკითხის პროფესიული შეფასების უნარი;
- გამოუმუშავოს იურიდიული პროფესიებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ანალიზის და გადასაწყვეტი საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი;
- გამოუმუშავოს რეალურ სამუშაო გარემოში მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის უნარი;
- გამოუმუშავოს უახლესი ინფორმაციის მოძიების, გამოყენებისა და არსებული პრაქტიკის გაზიარების უნარი.

ამრიგად პრაქტიკული კომპონენტის მიზანია თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის, უნარების, გამოცდილების შეჯამება და მათი პრაქტიკულად განხორციელება, რაც, თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა.

პრაქტიკული სწავლების პროცესი შედგება საკონტაქტო (განმახორციელებელ დაწესებულებაში მენტორთან მუშაობა, პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან მუშაობა და ანგარიშის პრეზენტაცია) და დამოუკიდებელი მუშაობისგან.

პრაქტიკული სწავლების საერთო კოორდინაციას ახორციელებს უნივერსიტეტის ფარგლებში ამაზე უფლებამოსილი პირი, ხოლო პრაქტიკულ სწავლებას ხელმძღვანელობს კონკრეტული დაწესებულების კვალიფიციური პირი - მენტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს და აფასებს სტუდენტის პრაქტიკულ საქმიანობას.

პრაქტიკული სწავლების კოორდინატორი ახორციელებს:

- სტუდენტთა განაწილებას კონცენტრაციის შესაბამის უნივერსიტეტის პარტიორ ორგანიზაციაში;
- მონიტორინგს და ზოგად ზედამხედველობას პრაქტიკული სწავლების პროცესზე.
- რეაგირებას მიმდინარე პრობლემურ საკითხებზე სწავლების პროცესში პარტნიორი დაწესებულების საკონტაქტო პირთან თანამშრომლობით.

პრაქტიკის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- პრაქტიკის დაწყებასთან დაკავშირებით მოსამზადებელი შეხვედრის ორგანიზება და პრაქტიკის განხორციელებაზე უნივერსიტეტის მხრიდან პასუხისმგებელი პირის მიერ სტუდენტთა ინფორმირება პრაქტიკის მნიშვნელობისა და დანიშნულების, მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების, პრაქტიკის გავლის ადგილის და განრიგის თაობაზე;
- პრაქტიკის გავლის ადგილზე სტუდენტთან გასაუბრების ორგანიზება და მენტორის მიერ პრაქტიკის ადგილის გაცნობა;
- მენტორის მიერ მაგისტრანტების სამუშაო პროცესში ჩართვა, ყოველდღიური ჩანაწერების (დღიურის) წარმოება, ზედამხედველობა მათ საქმიანობაზე;
- პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ მაგისტრანტისთვის კონსულტაციების ჩატარება, მიმღებ ორგანიზაციაში ვიზიტი, პრაქტიკის განხორციელების და მაგისტრანტის მუშაობის პერიოდული შეფასება;
- პრაქტიკის ანგარიშის მომზადება;
- პრაქტიკის საბოლოო შეფასება (დაცვა).

პრაქტიკული სწავლების დასრულების შემდეგ, სტუდენტი ადგენს პრაქტიკული სწავლების ანგარიშს, რომელიც უნდა მოიცავდეს პრაქტიკის აღწერას, პრაქტიკული სწავლების პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერას/ანალიზს, პრაქტიკული სწავლების შედეგების შეჯამებას. პრაქტიკული სწავლების ანგარიში უნდა იძლეოდეს მკაფიო წარმოდგენას კლინიკაზე და პრაქტიკული სწავლების განხორციელების პროცესზე. პრაქტიკული სწავლების ანგარიშს შემლებისდაგვარად თან დაერთვის ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელიც ეხება სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს და აღწერს მათ შინაარსს.

პრაქტიკული სწავლების შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები დეტალურადაა აღწერილი იურიდიული პრაქტიკის სილაბუსში.

იურიდიულ პრაქტიკას სტუდენტი გადის უნივერსიტეტის პარტნიორ დაწესებულებებში. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად უსდ-ის მიერ შერჩეულია პროგრამის მიზნებისათვის რელევანტური პარტნიორი ორგანიზაციები, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“, თბილისის საქალაქო სასამართლო, თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, შპს „ადვოკატთა პროფესიული კორპორაცია“, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“, შპს „კაიკაციშვილი და ადვოკატები“, შპს „მამულაძის საადვოკატო ბიურო“, შპს „ქეისი ლეგალ“ და სხვა.

პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) უსდ-ის თანამშრომლობის პირობები განსაზღვრულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით და ხელშეკრულებებით, რომლებიც აღწერენ მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისად, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და ხელშეკრულებების უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს მიმღებ დაწესებულებაში მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, თუმცა არ ითვალისწინებს იურიდიული პრაქტიკის მიზანსა და პრაქტიკის ხანგრძლივობას. სასურველია, უსდ-მ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) გაფორმებულ თანამშრომლობის მემორანდუმში და ხელშეკრულებებში დეტალურად აღწეროს იურიდიული პრაქტიკის მიზანი და პრაქტიკის ხანგრძლივობაც.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია კვლევაზე, რასაც წინ უძღვის კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსი - „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“.

კვლევითი კომპონენტი ასევე გამჭოლად გასდევდეს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს ინდივიდუალურ წერით საშინაო დავალების შესრულებას და მის საჯარო პრეზენტაციას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებში კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარებას, სტუდენტის მომზადებას დასკვნითი კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და ჩატარებისთვის. სამაგისტრო ნაშრომის შესულების უზრუნველსაყოფად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2018 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის არსი, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა, სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკა, სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის ვალდებულებები, სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურები, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 2016 წლიდან დღემდე დაცულია 126 სამაგისტრო ნაშრომი, მათ შორის 2016 წელს - 32 სამაგისტრო ნაშრომი, 2017 წელს - 38 სამაგისტრო ნაშრომი, 2018 წელს - 23 სამაგისტრო ნაშრომი, 2019 წელს - 27 სამაგისტრო ნაშრომი, ხოლო 2020 წელს - 6 სამაგისტრო ნაშრომი.

დაცული 126 სამაგისტრო ნაშრომიდან 21 სტუდენტს მიღებული აქვს შეფასება ფრიადი (17%), 53 სტუდენტს - ძალიან კარგი (42%), 35 სტუდენტს - კარგი (28%), 8 სტუდენტს - საკმარისი (6 %), და 9 სტუდენტს დამაკმაყოფილებელი (7%).

დასკვნითი სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი სტუდენტის კვლევითი უნარების შემაჯამებელი მტკიცებულებაა. კვლევით სამაგისტრო ნაშრომში აკუმულირებულია

პროგრამის კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასებისთვის ექსპერტების მიერ გაანალიზდა ცალკეული დაცული სამაგისტრო ნაშრომები და მათი შეფასების შედეგები. ექსპერტების მიერ გაანალიზებული იქნა გ.გ.-ს სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „აუცილებელი მოგერიების კვალიფიკაციის პრობლემური საკითხები“ (შეფასება 55 E), პ.დ.-ს სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „აუცილებელი მოგერიების გენდერული ანალიზი სისხლის სამართალში“ (შეფასება 81 B), დ.დ.-ს სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საჯაროობის პრინციპი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“ (შეფასება 54 E), მ.ა.-ს სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „ელექტრონული ხელშეკრულება“ (შეფასება 79 C), მ.ვ.-ს სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების წარმოშობის სამართლებრივი ასპექტები“ (შეფასება 91 A).

სამაგისტრო ნაშრომების ანალიზმა ცხადყო, რომ შესრულებული და დაცული სამაგისტრო ნაშრომები მთლიანობაში შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მათ საბოლოო შეფასებას. კვლევის წარმოებისას გამოყენებულია უახლესი მეთოდები და მიდგომები, ნორმატიული მასალასთან, დამხმარე სახელმძღვანელოებთან, სასამართლო პრაქტიკასთან ერთად გამოყენებულია უცხოენოვანი ლიტერატურა და სამართლის თანამედროვე აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებული კვლევები, სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, მიღებული ინფორმაცია.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის - სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სამართლის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) ან მოწვეული სპეციალისტი. ხელმძღვანელს უნდა ქონდეს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკასთან/მიმართულებასთან შესაბამისი კვლევის გამოცდილება ან/და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია სისტემატური ზედამხედველობა გაუწიოს სტუდენტის მუშაობას, აკონტროლოს კვლევის მიმდინარეობა და ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს ნაშრომის გეგმის შედგენაში, უახლესი რელევანტური ლიტერატურის და კვლევის მეთოდების შერჩევაში, სამუშაო პროცესის გეგმიურად წარმართვაში, მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულების თანახმად, ერთსა და იმავე სემესტრში ერთი პირი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი. გამონაკლისი დასაშვებია სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტი ვალდებულია მესამე სემესტრში აირჩიოს სამაგისტრო ნაშრომის თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი, გარკვეულწილად ბუნდოვანია ჩანაწერის იმის თაობაზე, რომ ერთსა და იმავე სემესტრში ერთი პირი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი. სასურველია განისაზღვროს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია უხელმძღვანელოს არა უმეტეს 5 სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

სტუდენტთა კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა სამეცნიერო კლუბი. სამეცნიერო კლუბის მიზანია სამეცნიერო კვლევებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა, სტუდენტთა

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ორგანიზებასა და მუშაობაში სტუდენტთა როლის გაზრდა, მეცნიერულ მტკიცებულებებზე დამყარებულ საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო აქტივობაში სტუდენტთა მონაწილეობა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კლუბი შეიმუშავებს და ახორციელებს სტუდენტურ სამეცნიერო პროექტებს, თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის - პროფესიულ გაერთიანებებთან, ეწევა სამეცნიერო და საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობას და საზოგადოების საინფორმაციო-შემეცნებით საქმიანობას და სხვა.

სტუდენტთა კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ის მიერ ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. კონფერენციის თეზისები უნივერსიტეტის მიერ იბეჭდება კრებულის სახით. სტუდენტურ კონფერენციებზე სტუდენტები წარმოადგენენ მოხსენებებს მათი ინტერესების სფეროში შემავალი სამართლის აქტუალური საკითხების შესახებ. პროგრამის განხორციელების პერიოდში მხოლოდ 28 სტუდენტს აქვს მიღებული მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში (სამეცნიერო ნაშრომები, კონფერენციები), რაც სტუდენტთა აქტივობის აშკარად დაბალი მაჩვენებელია.

უსდ მხარს უჭერს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით ინიციატივებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მათ მონაწილეობას. სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები ა(ა)იპ - ახალგაზრდა სამეცნიერო გაერთიანებასთან, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან და სხვა.

უსდ-ს შეიმუშავებული და დამტკიცებული აქვს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი, რომელიც მიზნად ისახავს, მათ შორის სტუდენტების კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერას. სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი ითვალისწინებს კვლევით პროექტებს შორის, კონკურსის წესით, საუკეთესოთა გამოვლენას და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მათ დაფინანსებას.

მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების შესახებ, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების აქტივობის მაჩვენებელი სამეცნიერო-კვლევით პროექტებში დაბალია. რეკომენდირებულია უსდ-მ გააუმჯობესოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება;
<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2019/05/13/2ede25179ee62c4cedd7d6880b98eed5.pdf>
- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი.
<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/07/30/782c66b8c195a19a918648e63fbbb745.pdf>
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების აქტივობის მაჩვენებელი სამეცნიერო-კვლევით პროექტებში დაბალია. რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პრაქტიკული კომპონენტი, იმიტირებულ სასამართლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის სახით, ჩაშენებულია მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსში - „სამოსამართლო ეთიკა“ და სისხლის სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსში - „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი“. სასურველია, პრაქტიკული კომპონენტი ჩაშენდეს კერძო სამართლის მოდულის და საჯარო სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებშიც;
- იმისათვის, რომ იურიდიული პრაქტიკის პროცესი იყოს ცხადი და თანმიმდევრულად აღქმადია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე იურიდიული პრაქტიკის ადგილზე მენტორებისათვის, სასურველია იურიდიული პრაქტიკის სილაბუსი ან თანდართული დოკუმენტები ითვალისწინებდეს ასევე იურიდიული პრაქტიკის გეგმას, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას და სხვ.
- პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) უსდ-ის თანამშრომლობის პირობები განსაზღვრულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით და ხელშეკრულებებით. მათი უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს მიმღებ დაწესებულებაში მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, თუმცა არ ითვალისწინებს იურიდიული პრაქტიკის მიზანსა და პრაქტიკის ხანგრძლივობას. სასურველია, უსდ-მ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) გაფორმებულ მემორანდუმში და ხელშეკრულებებში დეტალურად აღწეროს ასევე იურიდიული პრაქტიკის მიზანი და პრაქტიკის ხანგრძლივობა;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულების თანახმად, ერთსა და იმავე სემესტრში ერთი პირი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი. სასურველია განისაზღვროს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია უხელმძღვანელოს არა უმეტეს 5 სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება და ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ითვალისწინებს.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევასა გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს.

შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, სასწავლო პრაქტიკა);
- ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება);
- სხვა.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს მრავალფეროვან და თანამედროვე აქტივობებს. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სწავლება-სწავლის პროცესში ითვალისწინებს ისეთი აქტივობების გამოყენებას, როგორიცაა: ვერბალური ახსნა-განმარტება, წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, დემონსტრირება, შემთხვევის ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), გონებრივი იერიში (Brain storming), ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD), როლური და სიტუაციური თამაშები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ევრისტიკული მეთოდი, დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია, გუნდური მუშაობა, პრაქტიკული მეთოდები, დამოუკიდებელი სწავლა და სხვა.

<p>სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში, როგორც წესი, გამოიყენება მეთოდების კომბინაცია. სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდებს. სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევას გათვალისწინებელია სწავლების საფეხურიც. ინტენსიურია პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომების გამოყენება, რაც ხელს უწყობს სტუდენტებს გამოიმუშაონ კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. სწავლება-სწავლის მეთოდები ატვირთულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა 78.6 პროცენტი პოზიტიურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულ სწავლება-სწავლის მეთოდებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები; ▪ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა http://emis.sdasu.edu.ge/index.php ▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია უსდ-მ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერიტი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p>

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისას სტუდენტის ცოდნის შეფასება წარმოებს სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში. დასკვნითი შეფასება კი ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში.

შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასებები) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 25 ქულა. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა არ ემატება. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სრულდენტი დაასრულებს მასზე მუშობას. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ დროულ და დეტალურ ინფორმაციას მიღებული შეფასებებისა და დაშვებული შეცდომების შესახებ. სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ წარმოებს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიაზროს დაშვებული შეცდომები, შეძლოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება. სასწავლო კურსის სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები სტუდენტებისათვის გასაგებად არის განსაზღვრული. შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს, როგორც ზეპირი და წერილი გამოკითხვის კომპონენტს, ასევე საშინაო დავალების შესრულებასა და მის საჯარო პრეზენტაციას. შეფასების

კომპონენტებისას გამოყენებულია შეფასების ადექვატური მეთოდები და კრიტერიუმები (კაზუსის ამოხსნა, პრაქტიკული დავალების შესრულება, ტესტი, ღია კითხვა და სხვა).

სამაგისტრო ნაშრომის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება, რომელიც დეტალურად აღწერს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება ითვალისწინებს ეტაპობრივ და თანმიმდევრულ პროცესებს, რაც გულისხმობს კვლევითი პროცესების სისტემატიზაციას და სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მამიებლისთვის ხელმძღვანელის მხრიდან პერიოდული უკუკავშირის მიწოდებას.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიის მიერ საჯარო დაცვაზე ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), 100-ქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომი ჩაითვლება დაცულად თუ დაიმსახურებს მინიმალურ დადებით შეფასებას (51 ქულა). სასურველია, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდეს დაესწროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვასა და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, სასურველია, შედიოდნენ როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე - გარე ექსპერტებიც.

უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა დასაბუთებული საჩივრით მიმართოს სამართლის სკოლის დეკანს სააპელაციო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მოთხოვნით. საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისია.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში უსდ-ის მიერ გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე სამართლის სკოლის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება სასწავლო კურსის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით 78.6 პროცენტი პოზიტიურად აფასებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. ამასთან, სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების სისტემის ეფექტურობას პოზიტიურად აფასებს გამოკითხულ სტუდენტთა 71.4 პროცენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები;
- უსდ-ს სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2019/06/25/ca854ed89ad02052ad2a7865ad29231b.pdf>;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება
<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2019/05/13/2ede25179ee62c4cedd7d6880b98eed5.pdf>
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა <http://emis.sdasu.edu.ge/index.php>
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- უსდ-ის ვებგვერდი <https://sdasu.edu.ge>;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდეს დაესწროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვასა და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, სასურველია, შედიოდნენ როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე - გარე ექსპერტებიც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდა სამართლებრივი აქტებით სტუდენტებისათვის ამომწურავად და ნათლად არის ჩამოყალიბებული. სტუდენტებს საჭირო ინფორმაცია, სწავლის პროცესის შესახებ, დეტალურად და გასაგებად მიეწოდება. სწავლის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურები, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს სტუდენტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შესრულებისთვის არსებობს შესაბამისი ელექტრონული ბაზა, კორპორაციული ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებით სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდება დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, თემის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე.

პროფესორ-მასწავლებლების, დამსაქმებელთა, შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად სამართლის სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებასა და ბაზრის გამოწვევების შესაბამისად, სათანადო, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულებამ განსაზღვრა სტრატეგია, რომლის საწყის ეტაპზე, პროგრამაში ინტეგრირებულია სავალდებულო კომპონენტის სახით პროფესიული(დარგობრივი) ინგლისური ენის სავალდებულო სასწავლო კურსი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სამართლის მაგისტრანტებისთვის პროფესიული ინგლისური ენის სავალდებულო სალექციო კომპონენტად განსაზღვრა არის ძალიან კარგი საშუალება, უცხო ენის უნარების განვითარების მიზნით, ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე ამ მიმართულებით სამაგისტრო პროგრამის პოლიტიკის გატარება შესაბამისად აისახება სწავლის შედეგებზე. სასურველია უსდ-მ არჩევითი საგნების კომპონენტად სტუდენტს შესთავაზოს უცხოენოვანი (ინგლისურ ენაზე) პროფესიული არჩევითი სასწავლო კურსი, კარგი იქნება, ამ მიმართულებით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად დააინტერესებს/წახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს არჩევითი საგნების ნაწილში უცხოენოვანი საგანი გააქტიურონ. ამ სტრატეგიის განვითარებით სამართლის პროგრამის მაგისტრანტებს ექნებათ

შესაძლებლობა ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობისთვის, პარტნიორ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იყოს გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება; სტუდენტს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, ჰქონდეს შესაძლებლობა შეუფერხებლად გაეცნოს და გამოიყენოს უცხოენოვანი ლიტერატურა დედანში.

უსდ ხელს უწყობს სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვას, საუნივერსიტეტო კონფერენციებსა თუ სხვა მსგავს აქტივობებში მონაწილეობით - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობით სტუდენტები მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნებაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას საზღვარგარეთ ყავს რამოდენიმე პარტნიორი უნივერსიტეტი სადაც გაცვლითი პროგრამების ფარგლებში შესაძლებლობა აქვთ სტუდენტებს მიიღონ მონაწილეობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ექსპერტების მიერ, სტუდენტების ინტერვიუების პროცესში, არ გამოიკვეთილა სტუდენტი(ები), რომელსაც გაცვლითი პროგრამით სარგებლობის გამოცდილება გააჩნდა და/ან დაინტერესებული იყო სამომავლოდ მსგავსი აქტივობით. ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გაძლიერების მიზნით, უსდ-ს ორგანიზებით ეწყობა კონფერენციები, საჯარო ლექციები, რომლებსაც ატარებენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები, პრაქტიკოსი იურისტები. უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერორებად ჟურნალში “სპექტრი” ქვეყნდება წარმატებული სტუდენტების ნაშრომები პროფესორ-მასწავლებლებთან თანაავტორობით/საკონფერენციო სტატიები.

აღსანიშნავია, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები: სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, საბიბლიოთეკო სივრცე. უნივერსიტეტი აღჭურვილია კრიმინალისტიკის უახლესი, საერთაშორისო სტანდარტების ლაბორატორიით და იმიტირებული სასამართლო სხდომის დარბაზით. კრიმინალისტიკის ლაბორატორია და იმიტირებული სასამართლო სხდომის დარბაზი **სამართლის სამაგისტრო პროგრამის** სტუდენტებში დიდი მოწონებით სარგებლობს. აღნიშნული მატერიალური საშუალებები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ ხელს უწყობს იურისტის პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე საბიბლიოთეკო სივრცე, უსდ-ს აქვს წვდომა, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზებული ნორმატიულ აქტებზე; საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებზე, როგორებიცაა:

- EBSCO Legal Collection <https://www.ebsco.com/products/research-databases/legal-collection>;
- Heinonline <https://home.heinonline.org/content/Legal-Classics>.
- ELSEVIER (Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional));
- Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>);
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>).

სტუდენტების ნაწილი დასაქმებულია. დაწესებულების ხელშეწყობით მოქმედი სტუდენტები და კურსდამთავრებულები სისტემატიურად იღებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ინფორმაციას ვაკანსიების, კარიერული განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების შესახებ. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფარგლებში, პროგრამაში ინტეგრირებულია, სავალდებულო კომპონენტად – იურიდიული პრაქტიკა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის

წარმომადგენლებთან. პრაქტიკული კურსის ფარგლებში, სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, უსდ-ში სტუდენტების დასაქმების პრეცედენტიც არსებობს. იურიდიული პრაქტიკის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის გავლით, სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად ეუფლებიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემდგომ მათი სურვილისამებრ საქმდებიან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ხარისხის მიმართ დამოკიდებულებების და დამსაქმებლის მოთხოვნების შესწავლა - თვისებრივი კვლევის ანგარიში;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- უსდ-ის სამართლის სკოლის 2020 წლის ბიუჯეტი;
- მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან;
- აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უსდ-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ონლაინ დათვალიერება -პროგრამა ZOOM-ის მეშვეობით; უსდ-ს ვებ გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, სასურველია უსდ-მ არჩევითი საგნების კომპონენტად სტუდენტს შესთავაზოს უცხოენოვანი(ინგლისურ ენაზე) პროფესიული არჩევითი სასწავლო კურსი, კარგი იქნება, ამ მიმართულებით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად დააინტერესებს/წაახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს არჩევითი საგნების ნაწილში უცხოენოვანი საგანი გაააქტიურონ. ამ სტრატეგიის განვითარებით სამართლის პროგრამის მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობისთვის, პარტნიორ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იყოს გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება; სტუდენტს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, ჰქონდეს შესაძლებლობა შეუფერხებლად გაეცნოს და გამოიყენოს უცხოენოვანი ლიტერატურა დედანში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში, ისეთი პირები არიან ჩართულნი, რომელთაც შესაბამისი აკადემიური გამოცდილება აქვთ. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის უნივერსიტეტის

აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) ან მოწვეული სპეციალისტი. ხელმძღვანელს უნდა ქონდეს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკასთან/მიმართულებასთან შესაბამისი კვლევის გამოცდილება ან/და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია სისტემატური ზედამხედველობა გაუწიოს სტუდენტის მუშაობას, აკონტროლოს კვლევის მიმდინარეობა და ხარისხი. დაეხმაროს ნაშრომის გეგმის შედგენაში, უახლესი რელევანტური ლიტერატურის და კვლევის მეთოდების შერჩევაში. დაეხმაროს მას სამუშაო პროცესის გეგმიურად წარმართვაში, მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, გაუწიოს სათანადო კონსულტაციები; ხელმძღვანელი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე მაგისტრანტს აუხსნას სამეცნიერო შედეგებისა და სამეცნიერო ლიტერატურული წყაროების გამოყენების წესი, კორექტული ციტირების პრინციპები, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები და მათი დარღვევით გამოწვეული შესაძლო შედეგები. ერთსა და იმავე სემესტრში ერთი პირი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი. გამონაკლისი დასაშვებია სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით. სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაშრომის აქტუალურობაზე, სიახლეზე, პრაქტიკულ ღირებულებაზე, მონაცემთა სარწმუნოობაზე, გამოყენებული ლიტერატურის რელევანტურობაზე, სტრუქტურაზე, აკადემიურ სტილზე და სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებულ სხვა მოთხოვნებზე. დასკვნა უნდა სრულდებოდეს სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციით: „დაშვებულ იქნას მაგისტრანტი (სახელი, გვარი) საჯარო დაცვაზე“ ან „უარი ეთქვას მაგისტრანტს (სახელი, გვარი) საჯარო დაცვაზე“. ამ უკანასკნელის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია კონკრეტულად მიუთითოს ის ნაკლოვანებები, რაც გახდა ნაშრომზე უარყოფითი დასკვნის მიზეზი.

ექსპერტთა მიერ, ვიზიტის დროს სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის პროცესში გამოიკვეთა რიგი ხარვეზების, როგორც ნაშრომის შინაარსობრივ, ისე ფორმალურ ნაწილთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სამაგისტრო თემების

ხელმძღვანელებთან ინტერვიუების პროცესში დასმულ კთხვაზე, თუ რამდენად კარგად/დამაკმაყოფილებლად არიან მომზადებულნი სამაგისტრო თემის დასამუშავებლად სტუდენტები, ისე როგორც ამას აღნიშნული პროგრამისთვის დადგენილი სტანდარტი ითვალისწინებს, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების მიერ აღნიშნა, რომ მათ უწევთ ზრუნვა იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დახვეწაზე რაც აუცილებელია ნაშრომზე სამუშაოდ. გასათვალისწინებელია ენობრივი ბარიერიც, რაც უზღუდავს სტუდენტს შესაძლებლობას უცხოენოვან წყაროებს გაეცნოს დედანში და აქტიურად გამოიყენოს კვლევის პროცესში. მოცემული ვითარებიდან იკვეთება რომ მაგისტრანტების უმეტესობა სრულფასოვნად არ ფლობს იმ უნარ-ჩვევებს რომელთა შესწავლაც გათვალისწინებულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტებით, რაც სამაგისტრო ნაშრომების ხარისხზე აისახება. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომები რეალურად იყოს ორიენტირებული სამეცნიერო სიახლეზე, არსებული ცოდნის გაფართოებასა და ახალი ცოდნის შექმნაზე, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზზე, სინთეზისა და შეფასებაზე. განსაკუთრებით უნდა გამკაცრდეს დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია სპეციალური პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება ხდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
 - სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
 - სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
 - სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
 - სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები;
 - მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან;
 - აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის თემის ხელმძღვანელებთან/აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უსდ-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ონლაინ დათვალიერება -პროგრამა ZOOM-ის მეშვეობით; უსდ-ს ვებ გვერდი.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომები რეალურად იყოს ორიენტირებული სამეცნიერო სიახლეზე, არსებული ცოდნის გაფართოებასა და ახალი ცოდნის შექმნაზე, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზზე, სინთეზისა და შეფასებაზე. განსაკუთრებით უნდა გამკაცრდეს დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია სპეციალური პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება ხდება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p>4.1 ადამიანური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე
--

დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

I. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩაბმულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია 23 პირი, საიდანაც 15 არის აკადემიური პერსონალი (7 პროფესორი - (4 აფილირებული), 7 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი). პროფესორები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესის განხორციელებაში. მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 8-ს. აკადემიურ და მოწვეულ პირთა შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

გასათვალისწინებელია, რომ ბოლო წლების განმავლობაში უსდ-ში შემცირდა სტუდენტთა რაოდენობა. 2018- წელს ჩაირიცხა 0 სტუდენტი, 2019 – 14, ხოლო 2020 წელს -10 სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის ამგვარად შემცირების მიზეზად, უსდ-ს მიერ დასახელებული იქნა სწავლის საფასურის ოდენობა. ამჟამად პროგრამას ჰყავს 23 აქტიური სტუდენტი. პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა უდრის აქტიურ სტუდენტთა რაოდენობას (23/23). შესაბამისად, ჩნდება განცდა, რომ პერსონალის აქტიური ჩართულობა და წარმოდგენილი პროგრამაში არსებული სასწავლო საგნების სრულად რეალიზება ვერ ნაკლებად იქნება უზრუნველყოფილი.

II. აკადემიური პერსონალი შეირჩევა ღია კონკურსის წესით და თანამდებობაზე აირჩევა შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამეცნიერო კვლევების მქონე პირი, ხოლო მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება მათი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და სამეცნიერო აქტივობის შესაბამისად. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დადგენილია პერსონალის შერჩევის პროცედურა და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური დოკუმენტია. შერჩეულ პერსონალს გააჩნია სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი კომპეტენცია.

აღნიშნულის მიუხედავად, უსდ-ს აკადემიური პერსონალის მიმართ გააჩნია „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ კონტრაქტები. „ა“ და „ბ“ კონტრაქტები იდება აფილირებულ პერსონალთან. „ა“ ტიპს ხელშეკრულება იდეა, აფილირებულ პერსონალთან, რომელიც ჩართულია, როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო საქმიანობაში. ხელშეკრულების შესაბამისად, მის მიერ განხორციელებული კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობა ხორციელდება უსდ-ს სახელით. ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მთელი რიგი ვალდებულებები. „პერსონალი“ სდასუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში; სდასუ-ში ახორციელებს ძირითად სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას; მისი სამეცნიერო პუბლიკაციები(სტატიები / წიგნები/ მონოგრაფიები, სამეცნიერო კონფერენციის მასალები და ა.შ.) ქვეყნდება სდასუს სახელით; აქტიურად არის ჩართულნი სდასუ-ში სასწავლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამავე ხელშეკრულების 1.3 პუნქტის მიხედვით, სასწავლო საქმიანობა გულისხმობს პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას, მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების და გეგმვის, შემუშავებისა და შეფასების პროცესებში; სააუდიტორიო დატვირთვას, სასწავლო/საგამოცდო მასალების მომზადებას, ნაშრომების შემოწმებას, სასწავლო კურსის სილაბუსის შემუშავება-განახლებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, სტუდენტების უზრუნველყოფას თანამედროვე სასწავლო რესურსებით (სახელმძღვანელო, საკითხავი

მასალა და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა/რეცენზირებას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელობას; სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საკითხებთან დაკავშირებით, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას და სხვა აქტივობებს, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად. ამავე ხელშეკრულების 1.4 პუნქტის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გულისხმობს სამეცნიერო კვლევების, საგრანტო პროექტების მომზადებასა და განხორციელებას; სამეცნიერო სტატიების, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების მომზადებასა და გამოქვეყნებას, რედაქტირებას, რეცენზირებას, თარგმნას; კვლევებში სტუდენტების ჩართვას და მათ ხელმძღვანელობას; სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა/რეცენზირებას სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზების პროცესში ჩართულობას და სხვა აქტივობებს, რაც ადასტურებს პირის მონაწილეობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

აღნიშნული ჩანაწერი თითქმის იდენტურია „ზ“ ტიპის ხელშეკრულებაში, რომელიც აფილირებულ პერსონალთან იდება, თუმცა „ა“ ტიპის ხელშეკრულებასგან განსხვავებულია შრომითი ანაზღაურების წესი. „ბ“ ტიპის ხელშეკრულების მიხედვით, აფილირებულ პერსონალ შრომითი ანაზღაურება მიეცემა საათობრივად მესრულებული სამუშაოს შესაბამისად. წარმოდგენილი ხელშეკრულების ნიმუშების შესაბამისად, ვერ დგინდება არსებითი განსხვავება „ა“ და „ბ“ ტიპის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების და მოვალეობების განსხვავება.

„ბ“ კონტრაქტის შესაბამისად, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს მიუხედავად ზემოთჩამოთვლილი ვალდებულებისა მიეცემა სახელფასო ანაზღაურება ჩატარებული სალექციო საათების შესაბამისად. შესაბამისად, უსდ-ს აფილირების წესისა და ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერის მიუხედავად, ვერ ხორციელდება სათანადო მხარდაჭერა, რომელიც აუცილებელია პერსონალის წახალისებისათვის იზრუნონ პიროვნულ განვითარებასა და სამეცნიერო საქმიანობის გამლიერებისათვის.

აღსანიშნავია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მდგრადობის სახით. თვითშეფასების დოკუმენტის შესაბამისად, ბოლო 5 წლის განმავლობაში დაწესებულიდან წავიდა 9 აკადემიური პერსონალი და დაემატა 16 პერსონალი, დაწესებულებიდან წავიდა 5 მოწვეული, ხოლო დაემატა 23 პერსონალი. ამის გასათვალისწინებით დაწესებულებას აკად. პერსონალის რაოდენობა არის 15, ხოლო მოწვეული- 8. შესაბამისად, ჩნდება განცდა, რომ პერსონალის აქტიური ჩართულობა და წარმოდგენილი პროგრამაში არსებული სასწავლო საგნების სრულად რეალიზება ნაკლებად იქნება უზრუნველყოფილი.

III. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აფილირებულ პროფესორს წელიწადში ერთხელ დაუფინანსებს პრიორიტეტულ მიმართულებებში სამეცნიერო კვლევებს, გამოქვეყნებას, მონაწილეობის ხარჯებს. თუმცა ინტერვიუს შედეგად, დადგინდა რომ უსდ-ს მიერ მხარდაჭერილი და დაფინანსებული პროექტები ძალიან მწირია. უსდ-ს ძირითადი მხარდაჭერა გამოიხატება შექმნილი ნაშრომის გამოცემულ ხარჯის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურებით.

IV. პროგრამას უძღვება მისი ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, რომელსაც გააჩნია საგანმათლებლო საქმიანობის რამდენიმე წლიანი გამოცდილება.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს პროგრამის შემუშავების პროცესს; უზრუნველყოფს პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, პროგრამის განვითარებას უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და სტრატეგიის შესაბამისად; სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კურიკულუმის შესახებ, უწევს კონსულტაციას სასწავლო პროცესის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (საჭიროების შემთხვევაში) ოპტიმალურად დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, საკვალიფიკაციო ნაშრომთან, ნაშრომის ხელმძღვანელთან და სხვ. საკითხებთან დაკავშირებით; პასუხისმგებელია პროგრამის თანამედროვე სასწავლო მასალით უზრუნველყოფაზე;

<p>მონაწილეობს პოტენციური სტუდენტების მოზიდვის ღონისძიებებში; თანამშრომლობს სკოლის დეკანატთან, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან; თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მონაწილეობს პროგრამის შეფასებაში, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის მოდიფიცირების მიზნით ორგანიზებას უკეთებს სამუშაო ჯგუფის შექმნას და ხელმძღვანელობს მის მუშაობას, აგვარებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს და სხვ.</p> <p>უსდ-ს წარმომადგენლის განცხადებით, ახალი პროგრამის შემოშავება განხორციელდა სხვადასხვა პირთა აქტიური ჩართულობით. მათ შორის პროგრამის განმახორციელებელი პირები, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. დამსაქმებელთა მითითების შესაბამისად, უშულოდ პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის შესაბამისად, რამდენიმე ცვლილება განხორციელდა, მათ შორის იყო პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება. თუმცა გასაუბრების შედეგად, ვერ იქნა იდენტიფიცირებული ვერც ერთი წარმოდგენილი დამსაქმებლის, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში.</p> <p>ამავე დროს მოთხოვნის მიუხედავად, ვერ მოხდა უსდ-საგან კურსთავრებულთა მიერ პროფესიული სასერთიკატო გამოცდის შედეგების შესახებ. უსდ-ს განცხადების მიუხედავად, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სწავლის პროცესის დასრულების შემდგომ, დასრულდა მათი ურთიერთობა უსდ-სთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ▪ პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები; ▪ პირადი საქმეები; ▪ გასაუბრების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია უკეთესად იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამის განმახორციელებელი პირების, დამსაქმებლების, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში; • სასურველია აფილირებული პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები იყოს განსხვავებული ანაზღაურების პირობების შესაბამისად.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p>

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

□ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს წარმომადგენლების განცხადებითა და თვითშეფასების დოკუმენტი შესაბამისად. უსდ-ს მიერ მუდმივად ხორციელდება პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის შეფასება. უსდ-ს შემუშავე აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და დადგენილია შესაბამისი კომპონენტები. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომპონენტებია: სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა; სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა და აშ. უსდ-ს განცხადებისა და თვითშეფასების დოკუმენტის შესაბამისად, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისათვის შექმნილია შესაბამისი პირობები.

თუმცა გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროექტებში, კვლევებსა და სხვაგვარი აქტივობებში ჩართულობის სიმწირე. უსდ-ს წარმომადგენლების განცხადებით, სამეცნიერო კვლევის მიზნებისათვის უსდ-ს გააჩნია საკუთარი სამეცნიერო ჟურნალი, სადაც ხორციელდება სამეცნიერო ნაშრომებისა და კვლევის გამოქვეყნება. ამასთან, უსდ-ს მხარდაჭერით ხორციელდება სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების სრული ან ნაწილობრივი ფინანსური მხარდაჭერა. აღნიშნული აქტივობის გარდა, პერსონალის მხრიდან ვერ იქნა გახსენებული მათი სხვაგვარი წახალისება (მათ შორის აკადემიური შვებულება, სამეცნიერო გრანტი, გაცვლითი პროგრამა, აკადემიური სტიპენდია), რომელიც მიმართული იქნებოდა აკადემიური პერსონალის წახალისებისა და სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერებისათვის. ამავე დროს ვერ დასახელდა აკადემიური პერსონალის მობილობისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა უსდ-ს მხარდაჭერით.

დეკანის განცხადებით აკადემიური პერსონალისა წახალისების მიზნით განიხილება მათი სამეცნიერო ნაშრომების უსდ-სთან არსებულ ჟურნალში გამოქვეყნება. ამავე დროს აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს მოითხოვოს სხვადასხვა პროექტის დაფინანსება უსდ-ს ადმინისტრაციისაგან. თუმცა პერსონალთან გასაუბრების შედეგად ვერ იქნა დასახელებული მხარდაჭერილი პროექტის შესახებ. ამასთან, ვერ იქნა დასახელებული

<p>უსდ-ს მხარდაჭერით პერსონალის ჩართულობა საგანმანათლებლო პროექტში, რომელიც მიმართული იქნებოდა პერსონალის პროფესიული განვითარებისაკენ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ პირადი საქმეები; ▪ ინტერვიუს შედეგები;
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>ი გოხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
--

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, უსდ-ს გააჩნია შესაბამის მატერიალურ ტექნიკური ბაზა. ასევე, შესაბამისი იმიტირებული დარბაზი, კრიმინალისტიკური ლაბორატორია, ბიბლიოთეკა. საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება მოხდა ელექტრონული კომუნიკაციის შესაბამისი საშუალების შედეგად. ბიბლიოთეკა მოიცავს, როგორც ელექტრონულ წიგნად ფონდს, ასევე, შესაბამისი რაოდენობის წიგნადი ფონდი არსებობს მატერიალური სახით. დისტანციური სწავლების მიზნით, მოხდა სხვადასხვა ლიტერატურის გაციფრულება. უსდ-ს წარმომადგენლების განცხადების შესაბამისად, ბიბლიოთეკაში არსებობს სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ამავე დროს უსდ-ს შემენილი აქვს საკანონმდებლო მაცნის მოხმარების ლიცენზია. ასევე, ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სამეცნიერო ბაზები. სტუდენტთა მიერ საკმაოდ იშვიათია ბაზების პრაქტიკულად გამოყენების რიცხოვნობა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში • ინფრასტრუქტურის ვირტუალური დათვალიერება; • საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესურსებთან წვდომა; • უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან (online); • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები:</p> <p>სასურველია უსდ-ს მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით;</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია. არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისათვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ უწევს დამატებითი ფინანსების გაღება პროგრამის განხორციელებისთვის.</p> <p>პროგრამის ბიუჯეტი ემსახურება როგორც აკადემიური/ მოწვეული პერსონალის კვლევების განვითარებას ასევე მობილობის პროცესის ხელშეწყობას და იგი ორიენტირებულია სტუდენტთა საჭიროებებზე. კონკრეტულად ბიუჯეტის 39% იხარჯება შრომით ანაზღაურებაზე (122,785) სამეცნიერო კვლევებისათვის განსაზღვრულია 14 000 ლარი (4,3%) ხოლო დანარჩენი ხარჯები გათვალისწინებულია სასწავლო რესურსებზე, კონფერენციებში მონაწილეობაზე, სამეცნიერო სტატიებზე, სპორტული და სხვა კურიკულუმის გარეშე ღონძიებებზე, სტიპენდიები/შელავათებზე და გაცვლითი პროგრამების დაფინანსებაზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • უსდ სკოლის ბიუჯეტი; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სააკრედიტაციო ვიზიტის დროს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის

შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სისტემატურ მონიტორინგს, შეფასებას და რეკომენდაციების შეიმუშავებს. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“-ს შესახებ აქტი აგებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლის (PCDA) პრინციპზე დაყრდნობით. კერძოდ, მასში გათვალისწინებულია თითოეული ციკლის ფარგლებში შესასრულებელი მიმართულებები.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები და აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათი გამოკითხვა ხდება სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით.

ამგვარად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- გამოკითხვის ფორმები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში;
- სერვისების შეფასება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი მიესალმება peer review პროცესს. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს უნივერსიტეტი განიხილავს და მხოლოდ განხილვისა და დისკუსიის შემდეგ ითვალისწინებს ისეთ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც ხელს შეუწყობს ამ კონკრეტულ პროგრამაზე სწავლის ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებას. შესაბამისად, სასურველი იყო, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში ვრცლად ყოფილიყო წარმოდგენილი ბოლო აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

სამართლის სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიღებული აქვს 2012 წელს, რაც მიაწინებს მისი გარე ხარისხის კონტროლის გარკვეული მექანიზმის არსებობაზე. თუმცა, გარე ხარისხის შეფასების სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის არსებითია, აღნიშნული შეფასების პროცესში ობიექტური გარეშე პირის/ექსპერტის შესაბამისი დასკვნის არსებობა და დასკვნის საფუძველზე არსებული რეკომენდაციების შესაბამისი ასახვა პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში:

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, რომ აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სამაგისტრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამა ფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულია, რაც გამოვლინდა თვითშეფასების ანგარიშისა და განსაკუთრებით, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად. იგი ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები მოქნილია. პერიოდულად ტარდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვა შესაბამისი კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ. შიდა შეფასების შედეგები ანალიზდება შიდა თვითშეფასების ანგარიშში და გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები გადაეცემა ადმინისტრაციას რომელიც, საჭიროებისამებრ, პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსისა და სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის მიზნით, უნივერსიტეტის მიერ არ არის განხორციელებული წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების</p>

<p>უნივერსიტეტების (მათ შორის, პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარების მიზნით. საერთო ჯამში, უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება რეალურად ხორციელდება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში; • სტუდენტთა გამოკითვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სამართალი, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 56

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლევან მოსახლიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ზვიად როგავა



ნინო ლიპარტია



თათია უბერი

